ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2015 წლის 3 ივნისის
ბრძანება №83/01-01

დანართი №1

2015-2016 სასწავლო წლისათვის ჯეძიანის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის (ჩინეთი) მიერ გამოყოფილი საბაკალავრო სტიპენდიების მიმღებთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატთა შეჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი
კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტთა შორის ჯეძიანის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის (ჩინეთი) მიერ გამოყოფილი სასწავლო სტიპენდიების მიმღებთა (სტიპენდიატი) შერჩევა 2015-2016 სასწავლო წლისათვის.

2. კანდიდატი და სტიპენდიატი
სტიპენდიატები შეირჩევიან კანდიდატთა შორის გასაუბრების გზით.

3. სტიპენდიატის შერჩევა
ა) სტიპენდიატთა შერჩევა ხორციელდება შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით
1. მოტივაციის წერილი
2. ზეპირი პრეზენტაცია (ინგლისურ ენაზე)
3. აკადემიური მოსწრების საერთო საშუალო ქულა (GPA)

4. კომისიის შეფასება
ა) კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
ბ) კანდიდატის მოტივაციის წერილისა და ზეპირი პრეზენტაციის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაციის წერილი ან ზეპირი პრეზენტაცია შეფასებულ იქნება არადამაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. გამარჯვებულის გამოვლენა
გამარჯვებულის გამოვლენა ხდება კომისიის მიერ სტიპენდიატთა შერჩევის გზით.